1909 წელს იგი ვალერიან გუნიამ მიიწვია ქუთაისში, სადაც განასახიერა: ჰამლეტი, ოტელო და იაგო, ედგარი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“), ოიდიპოსი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“), ფრანც მოორი (შილერის „ყაჩაღები“), გიორგი სააკაძე (ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“) და სხვა. 1913 წელს ალექსანდრე იმედაშვილი თბილისში ბრუნდება და 1914 წელს 13 თებერვალს მონაწილეობს შილერის „დონ-კარლოსში“, სადაც მარკიზ პოზას როლს ასრულებს.

1914 წელს 25 სექტემბერს დაიწვა სათავადაზნაურო თეატრი და დასი მუშაობას განაგრძობს ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლში.1915 წელს 13 მაისს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობის სპექტაკლში ალექსანდრე იმედაშვილი პირველად ასრულებს ოტელოს როლს შექსპირის „ოტელოში“, რომელზეც იგი 1911 წლიდან მუშაობდა. ალექსანდრე იმედაშვილი, სრულყოფილი მხატვრული სახის შესაქმნელად ყოველმხრივ სწავლობდა არა მარტო კონკრეტულ როლსა და პიესას, არამედ დრამატურგის მთელ შემოქმედებასა და სხვა გამოჩენილ შემსრულებელთა მიერ განსახიერებულ სახეებსაც. ალ. იმედაშვილი იხსენებდა: **„ოტელოს განსაკუთრებით ვამზადებდი. უცებ ერთი უცნაური აზრი მომივიდა. რა უამბო დეზდემონამ ოტელოს ისეთი, რომ ყველაფერი დაავიწყა და ეს ყარაჩი კაცი შეაყვარა.. ამისათვის განვიზრახე ოტელოს ცხოვრება დამეწერა. გავითვალისწინე ტექსტის სხვადასხვა ადგილები და დავწერე მთელი მისი ცხოვრება დაწვრილებით და დალაგებით, სანამდე ჩემი ფანტაზია მისწვდებოდა. ჩემი შავი ოტელო მეფის შთამომავალი, როგორც თვითონ ამბობს, ათასს ჭირს ვარამში გავახვიე, მთელი ქვეყანა მოვატარე. ასე წარმოიდგინეთ საქართველოშიც კი გამოვატარე და მოვიყვანე იმ წუთამდე, როცა ყოველივე ამას დეზდემონას უამბობს. ჩემი ნამუშევარი მევე მომეწონა და ესეც ზეპირად ვისწავლე. ერთ დღეს ბეგლარ ახოსპირელი სავარძელში ჩავსვი, როგორც ბრაბაციო, გვერდით ჩემი მეგობარი ქალი მოუსვი, როგორც დეზდემონა და მოუყევი ჩემი – როგორც ოტელოს თავგადასავალი. სულგნაბულნი მისმენდნენ. „როლებში შევედი – ეპიზოდებს თანდათან ვამატებდი და აი... დავასრულე. ოხვრა მოსკვდათ, ზვირთებრ გულიდან!!! მეც ეს მინდოდა... ამის შემდეგ გადავწყვიტე გამებედნა და მეთამაშნა“.** (სტილი დაცულია).

1916-17 და 1919-20 წწ. სეზონებში ალ. იმედაშვილი ქუთაისის დასის ხელმძღვანელია. 1919 წლის 6 თებერვალს პირველად ითამაშა პეტრუჩიოს როლი უ. შექსპირის პიესაში „ჭირვეულის მორჯულება“, ხოლო 26 დეკემბერს შექსპირის „იულიუს კეისარში“ ბრუტოსის როლი. 1920 წელს ალ. იმედაშვილი „ოტელოს“ თამაშობს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დაბა-ქალაქში.

1920-21 წწ. სეზონიდან იგი მუშაობს თბილისის დრამატულ თეატრში, 1921-22 წწ. ბათუმის თეატრში, ხოლო 1922-24 წლებში რუსთაველის თეატრში განაგრძობს მოღვაწეობას, სადაც კ. მარჯანიშილის მიერ დადგმულ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროში“ ესტევანის და ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“ გლეხ ბერუას როლები ითამაშა.

1923-24 წლების სეზონში, ვინაიდან იგი მხოლოდ დეკემბერსა და მარტში იყო დაკავებული სპექტაკლებში „ოტელო“, „ოიდიპოს მეფე“ და „მაკბეტი“, ამიტომ, ამავე სეზონში შეთავსებით მუშაობდა ბათუმის დასის ხელმძღვანელად, სადაც დადგა შილერის „ყაჩაღები“, შექსპირის „ოტელო“ და სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“.

1924-25 წწ. სეზონში იგი ჭიათურის თეატრის ხელმძღვანელად მიიწვიეს, მაგრამ იგი თბილისის მსახიობთა ამხანაგობის დასში დარჩა. 1925-26 წწ. სეზონში ქუთაისის დასის ხელმძღვანელად გადადის და დგამს შექსპირის „მაკბეტს“.

1929-30 წლის სეზონიდან მოღვაწეობას განაგრძობს რუსთაველის თეატრში, სადაც შემდეგი როლები განახორციელა: კაპიტანი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“), გენერალი მეკსონი (ვ. კირშონის „ქართა ქალაქი“), ტკაჩოვი (ა. სლავინის „პროტესტი“).

1931 წელს 26 თებერვალს მსახიობ ალექსანდრე იმედაშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში საიუბილეო საღამო გაიმართა, ხოლო 1932 წელს 13 თებერვალს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ალ. იმედაშვილი „სახკინმრეწვში“ (1921-22 წწ., 1926-28 წწ., 1932-39 წწ.) მოღვაწეობდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული კინოხელოვნების განვითარების საქმეში, სადაც შეასრულა: მუშა („არსენა ჯორჯიაშვილი“, 1921 წ.), გელა („მოძღვარი“, 1922 წ.), ალი („გიული“, 1927 წ.), პეტუა („ქარიშხლის წინ“,1924 წ.), ექიმი („ამოკი“,1927 წ.), კარდინალი მონტანელი („კრაზანა“, 1928 წ.), ასტამირი („ელისო“, 1928 წ.), აზამათ („მდინარის გაღმა“, 1935 წ.), ფარსადანი ( „არსენა“, 1937 წ.).

1939 წლის შემოდგომაზე იგი უბრუნდება ქუთაისის დასს, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობს დოდო ანთაძესთან ერთად. 1940-41 წლის სეზონში განახორციელა მეფე ლირის როლი, შექსპირის ამავე სახელწოდების პიესაში. იგი დიდხანს ემზადებოდა ამ რთული რო-

ლის შესასრულებლად – ამუშავებდა ლიტერატურას, სწავლობდა როლის ხასიათს. ცდილობდა თავისი ბუნების, თავისი აქტიური ხასიათის ლირის ხასიათისადმი მისადაგებას: **„გავეცანი მსოფლიოში ცნობილ მსახიობთა აზრს და შემდეგ გულდასმით შევუდექი მის დამუშავებას“,** იხსენებს ა. იმედაშვილი თავის მოგონებაში. ლირის პერსონაჟის სახეში ალ. იმედაშვილის ხედვით სამი მომენტი იყო მთავარი: მეფე, ადამიანი, და მამა. მაყურებლის თვალწინ გაივლიდა დიდებული მეფე და იწყებოდა დაკნინებული ადამიანისა და უბედური მამის უსაზღრო ტრაგედია.

ალ. იმედაშვილი წერდა სტატიებს სასცენო ხელოვნების შესახებ. მის მიერ არის ნათარგმნი 15-მდე სხვადასხვა ავტორის პიესა: ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ა. ბეიერლენის „სამხედრო ბანაკში“, ჰ. იბსენის „საზოგადოების ბურჯნი“, ე. ბრიეს „ჟოზეფინა და ბონაპარტე“, ს. იუშკევიჩის „მეფე“ (ვ. გუნიასთან ერთად), ე. პოტაპენკოს „ახალი ცხოვრება“, ა. დიუმას „მარგარიტრა გოტიე“, ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ვ. ავსეენკოს „მგელკაცა“, ვ. ბურენინის „თავისუფლების მეფე“ და სხვა. 1963 წელს გამოიცა მისი წიგნი „მოგონებანი“, რომლის დედანიც ჩვენს მუზეუმშია დაცული.

ალექსანდრე იმედაშვილი მშობლიურ სცენას 40 წლის განმავლობაში ემსახურა. მან ქართულ საზოგადოებას თავისი ნიჭით, უნარით თავი დაამახსოვრა, როგორც დრამატული როლების ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელმა. მის მიერ შექმნილ სახეებს მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს.

ალექსანდრე იმედაშვილი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 1942 წლის 30 სექტემბერს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ვერის სასაფლაოზე.

## ალექსანდრე იმედაშვილის პირადი საარქივო ფონდი

## ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ალექსანდრე იმედაშვილის განცხადება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ თეატრის მმართველისადმი [ა. წუწუნავას]. ითხოვს თეატრიდან დროებით განთავისუფლებას, რადგან ბათუმიდან მიიღო საგასტროლო მოწვევა.
1922 წ.13. 01. თბილისი. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. განცხადებას ადევს რეზოლუცია. 2 ფ.

2. სახალხო განათლების კომისარიატის საქმეთა მმართველის მიმართვა ა. წუწუნავასადმი. უგზავნის ა. იმედაშვილის განცხადებას.
1923 წ. 30. 02. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ საქმეთა მმაერთველი – არ ირჩევა. მდივანი – ი. რუხაძე. ადევს რეზოლუცია. 1 ფ.

3. ალექსანდრე იმედაშვილის განცხადება აკადემიური თეატრების მმართველისადმი. ავანსად ათი მილიონი მანეთი მიცემის შესახებ.
1923 წ. 21. 03. თბილისი. ბლანკი. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. შავი მელანი. 1 ფ.

4. ალექსანდრე იმედაშვილის განცხადება აკადემიური თეატრების მმართველისადმი. ითხოვს, საბენეფისოდ გადაახდევინონ იმდენი თანხა, რამდენიც მსგავს შემთხვევაში სხვებს, ვინაიდან „მაკბეტის" პრემიერის დაგვიანება მოხდა არა მისი მიზეზით.
1923 წ. 27. 04 თბილისი. ავტოგრაფი. შავი მელანი. 2 ფ.

5. სახალხო განათლების კომისარიატის საქმეთა მმართველის მიმართვა აკადემიური თეატრების მმართველობისადმი, ალ. იმედაშვილის განცხადების გაგზავნის შესახებ.
1923 წ. 09. 05. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი ადევს რეზოლუცია. ხელს აწერენ საქმეთა მმართველი – არ ირჩევა. მდივანი – ი. რუხაძე. 1 ფ.

6. ალექსანდრე იმედაშვილის განცხადება განათლების სახალხო კომისარს. მისი ხელშეკრულების ძალაში დარჩენას და ჯამაგირის მიღების შესახებ.
1923 წ. 25. 06. თბილისი. ავტოგრაფი. ალ. იმედაშვილის ხელმოწერით. მელანი. 2 ფ.

7. ალ. იმედაშვილის მოწმობა, გაცემული აკადემიური თეატრის დირექციის მიერ. ადასტურებს, რომ ალ. იმედაშვილი უნდა ჩამოსულიყო თბილისში დეკემბერსა და მარტის თვეში.
1924 წ. 05. 04 თბილისი. ნაბეჭდი. 1 ფ.

8. მთავარი სახელოვნო საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება ქართველ უმუშევარ მსახიობთა კოლექტივისადმი. წარმოდგენილი რეპერტუარით, სხვადასხვა თეატრებში წარმოდგენების გამართვის შესახებ.
1924 წ. 01. 11. თბილისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელმოწერა არ იკითხება. 1 ფ.

9. ალექსანდრე იმედაშვილის კადრების პირადი ფურცელი.
1938 წ. 08. 01. ბლანკი რუსულ ენაზე. ხელით შევსებული ქართულ ენაზე. იმედაშვილის ხელმოწერით. დაზიანებული. ერთვის მინაწერი: „ეს საბუთი გადმომცა ამხ. მაჭიძემ". ხელმოწერა არ იკითხება. ლურჯი მელანი. 2 ფ.

10. ალექსანდრე იმედაშვილის კადრების პირადი ფურცელი 1892-1900 წწ.
1939 წ. 03. 09. ბლანკი, შევსებულია ხელით რუსულ და ქართულ ენებზე. იმედაშვილის ხელმოწერით. თეატრის დირექტორის გვარი არ იკითხება. ლურჯი მელანი. 2 ფ.

11. ალექსანდრე იმედაშვილის კადრების პირადი ფურცელი 1892-1940 წწ.
1940 წ.17.10. ბლანკი. რუსულ და ქართულ ენებზე. შევსებულია ხელით. ქართულ ენაზე. 2 ფ.

12. ი. შოთაძის განცხადება საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმის დირექტორს გ. ვ. ბუხნიკაშვილს. სთხოვს სათანადოდ შეა-

ფასონ ალ. იმედაშვილის ნაშრომი – წიგნი „მეტყველების სისწორე“ და გადაუხადონ ორმოცდაათი მანეთი.
1975 წ. 03. 07. თბილისი. ავტოგრაფი. ი. შოთაძის ხელმოწერით. 1 ფ.

13. ალექსანდრე იმედაშვილის ავტობიოგრაფია.
1938 წ. თბილისი. რვეული. ფანქარი. 8 ფ.

14. ალექსანდრე იმედაშვილის ავტობიოგრაფია. 1882-1926 წწ.
1938 წ. 23. 06. თბილისი. მანქანაზე ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ერთვის მინაწერი: „ფასი 5 ლარი“. 1 ფ.

15. ალექსანდრე იმედაშვილის ბიოგრაფია. 1882-1932 წწ.
1939 წ. 03. 09. თბილისი. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. ლურჯი მელანი. 1 ფ.

16. ალექსანდრე იმედაშვილის ბიოგრაფია. 1882-1940 წწ.
უთარიღო. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. ერთვის მონაწერი: „ცნობა. დაიბადა 18 თებერვალს (ძვ. სტ.).“ ლურჯი და შავი მელანი. 1 ფ.

17. ალექსანდრე იმედაშვილის ბიოგრაფია. 1900-1933 წწ.
უთარიღო. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

18. ალექსანდრე იმედაშვილის ბიოგრაფიული ცნობები. 1882-1942 წწ.
უთარიღო. ნაბეჭდი. 2 ფ.

19. ალექსანდრე იმედაშვილის ავტობიოგრაფია. 1882-1940 წწ.
უთარიღო. ნაბეჭდი. 1 ფ.

## შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

### ნაშრომები

20. ალექსანდრე იმედაშვილის ჩანაწერი ჰამლეტის პერსონაჟის და ამ როლის შესრულების შესახებ.
[1906 წ.] ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. ფანქარი. 12 ფ.

21. ალექსანდრე იმედაშვილის ნაშრომი – წარმოადგენს „ოტელოს“ ყველა მოქმედ პირთა დახასიათებას.
[1911 წ.] ავტოგრაფი. რვეული. მელანი. 31 ფ.

22. ალექსანდრე იმედაშვილის ჩანაწერი შექსპირის „მაკბეტის“ შესრულებასთან დაკავშირებით.
[1918 წ.] ავტოგრაფი. ფანქარი. 4 ფ.

23. ალექსანდრე იმედაშვილის ნაშრომი – წარმოადგენს მაკბეტის პერსონაჟის მისეული ხედვის შესახებ.
[1918 წ.] ავტოგრაფი. რვეული. ფანქარი. 4 ფ.

24. ალექსანდრე იმედაშვილის ნაშრომი – წარმოადგენს მეფე ლირის პერსონაჟის მისეული ხედვის შესახებ.
[1926 წ.] ავტოგრაფი. ბლოკნოტი. ფანქარი. 8 ფ.

25. ალექსანდრე იმედაშვილის მიერ წარმოდგენილი უილიამ შექსპირის „მეფე ლირის“ გარჩევა და მისეული ხედვა სპექტაკლთან დაკავშირებით.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. ბოლონაკლული. დაზიანებული. რვეული. 31 ფ.

26. ალექსანდრე იმედაშვილი ნაშრომი. წარმოადგენს „მეფე ლირის“ მოქმედ პირთა დახასიათებას.
[1926 წ.] ავტოგრაფი. რვეული. ფანქარი. 29 ფ.

27. ალექსანდრე იმედაშვილი. ნაშრომი „მეფე ლირის“ დადგმის შესახებ.

[1926 წ.] ავტოგრაფი. ალ. იმედაშვილის ხელმოწერით. დაზიანებული. რვეული. 45 ფ.

28. ალექსანდრე იმედაშვილის ჩანაწერი „ოტელოს“, „მაკბეტის“ და „მეფე ლირის“ შესრულებასთან დაკავშირებით.
[1926 წ.] ავტოგრაფი. ალ. იმედაშვილის ხელმოწერით.

29. ალექსანდრე იმედაშვილის ჩანაწერი შევლოხას პერსონაჟის და ამ როლის შესრულებლების შესახებ.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. ფანქარი. დაზიანებული. 10 ფ.

30. ალექსანდრე იმედაშვილი ნაშრომი „მეტყველების სისწორე“.
უთარიღო. ავტოგრაფი. ბლოკნოტი. მელანი. 26 ფ.

31. პერსონაჟების: კასიოს, ბრუტოს და ანტონიუსის ტექსტი შექსპირის პიესიდან „იულიუს კეისარი“.
უთარიღო. ავტოგრაფი. ბლოკნოტი. მელანი. დაზიანებული. 24 ფ.

## პიესები

32. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გაკეთებული პიესის მონტაჟი.
უთარიღო. დაზიანებული ჩასწორებები შესრულებულია ფანქრით. ფურცლები აკინძული. ერთვის მინაწერი: „ჩემი აზრით, ეს მონტაჟი უნდა იყოს რადიო გადაცემისათვის, შესაძლებელია რუსთაველის (1937 წ.) იუბილის დღეებისათვის“. დ. ჯანელიძის ხელმოწერით. 22.11.1972 წ. ლურჯი მელანი. 26 ფ.

33. ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის“ მიხედვით, ალექსანდრე იმედაშვილი. მიერ შესრულებული პიესის მონტაჟი.
უთარიღო. ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. მელანი. 22 ფ.

34. სარეჟისორო მონტაჟი – სოფოკლეს პიესა „ოიდიპოს მეფე“.
უთარიღო. რვეული. დაზიანებული. ერთვის ჩასწორებები ფანქრით და ლურჯი მელნით. მწვანე მელანი. ხელმოწერა არ იკითხება. 60 ფ.

35. სოფოკლეს პიესა „ოიდიპოს მეფე“.
უთარიღო. ავტოგრაფი. ბლოკნოტი შავი ტვიფრული ყდით. ლურჯი მელანი. 56 ფ.

36. უილიამ შექსპირის პიესა „რიჩარდ მესამე“.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. მელანი. 20 ფ.

37. კ. ლეკაშევიჩის პიესა „გამარჯვებული“. 1 მოქმედებიანი კომედია. ა. მესხის თარგმანი.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. მელანი. 13 ფ.

38. პიესა „ფეხთა მეფე“.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 9 ფ.

39. 1 მოქმედებიანი პიესა „მზე“.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 16 ფ.

40. მოლიერის პიესა „ტარტიუფი“.
უთარიღო. ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. მელანი. 26 ფ

41. უილიამ შექსპირის პიესა „ჰამლეტი“. I, II, III ნაწილი.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული 3 ც. მელანი.

42. უილიამ შექსპირის პიესა „მაკბეტი“.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 22 ფ.

## როლები

43. კარლის როლი „დამნაშავეა?“ 3 მოქმედებიანი დრამა. ნიკიტინის თარგმანი. სახალხო თეატრი.
1903 წ. 27.12. თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 9 ფ.

44. დათოს როლი. ალექსანდრე სუმბათაშვილი „ღალატი“. 5 მოქმედებიანი დრამა.
1904 წ. 14. 03 თბილისი. ავტოგრაფი რვეული. შავი მელანი. 8 ფ.

45. სულეიმანის როლი. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“. 5 მოქმედებიანი დრამა.
1906 წ. 09. 11 თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 14 ფ

46. ფრანც მოორის როლი. ფ. შილერის „ყაჩაღები“. 5 მოქმედებიანი ტრაგედია.
1907 წ. თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 19 ფ.

47. მარკის როლი. „ვიდრე ხვალ უფალო?“. 5 მოქმედებიანი დრამა.
1909 წ. 23. 05. თბილისი. ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. შავი მელანი. 21 ფ.

48. ბლაკრის როლი. ჟილავსკის „ეროსი და ფსიხეია“. 7 სურათიანი დრამატული პოემა.
1911 წ. 24. 03. ქუთაისი. ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. შავი მელანი. 15 ფ.

49. კარლოსის როლი. „ჰუგენოტების ამოჟლეტა“. 4 მოქმედებიანი ტრაგედია.
1911 წ. 27.11 ქუთაისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 17 ფ.

50. კარლოსის როლი. ფ. შილერის „ყაჩაღები“. 5 მოქმედებიანი ტრაგედია.
1911 წ. 26.12. ქუთაისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 19 ფ.

51. ნაპოლეონის როლი. „ნაპოლეონი და ჟოზეფინა“. 4 მოქმედებიანი პიესა. ალექსანდრე იმედაშვილის თარგმანი.
1913 წ.10.01 ქუთაისი. ავტოგრაფი. დაზიანებული. რვეული. შავი მელანი. 16 ფ

52. ოიდიპოსის როლი. სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“.
1913 წ. 20. 04. ქუთაისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 25 ფ.

53. პოზას როლი. ფ. შილერის „დონ-კარლოსი“. 5 მოქმედებიანი ტრაგედია. თარგმანი ა. შანშიაშვილის.
[1913 წ.] ქუთაისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 42 ფ.

54. პოზას როლის სცენარი. ფ. შილერის „დონ-კარლოსი“. 5 მოქმედებიანი ტრაგედია. ა. შანშიაშვილის თარგმანი.
[1913 წ.] ქუთაისი. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 20 ფ.

55. ნაპოლეინის როლი. ვ. სარდუსის და მოროსის „მადამ სან-ჟენ“. 4 მოქმედებიანი კომედია.
1916 წ. 11. 02 თბილისი. ავტოგრაფი. ერთვის მონაწერები ფანქრით შესრულებული. ვეული. შავი მელანი. 24 ფ.

56. სერგეის როლი. ა. კოსოროტოვის „ნიაღვარი“. 4 მოქმედებიანი დრამა. ვ. გუნიას თარგმანი.
1917 წ. 02.10 თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. დაზიანებული. შავი მელანი. 36 ფ.

57. ვახტანგის როლი. სოლოვიოვის „ძალა აღმართსა ხნავს“. 4 მოქმედებიანი კომედია.
1917 წ. 30.10 თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. დაზიანებული. შავი მელანი. 34 ფ.

58. კლასის როლი. „ზღვასთან“. 3 მოქმედებიანი დრამა. ვ. შალიკაშვილის თარგმანი.
1920 წ. თბილისი. ავტოგრაფი. რვეული. ფანქარი. 17 ფ.

59. შადიმანის როლი. „უგვირგვინო მეფენი“. 5 მოქმედებიანი ისტორიული დრამა.
უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული. შავი მელანი. 21 ფ.

60. ლევანის როლი. ვ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევანის“ ისტორიული დრამის მიხედვით – იგულისხმება სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657 წწ).

უთარიღო. რვეული. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. ბოლო ფურცელზე აქვს ა. იმედაშვილი მინაწერი: „ვათამაშებ ამ როლს მხოლოდ უკანასკნელი სამი თვის შემდეგ და თუ უკანასკნელი ოცი რეპეტიცია მაინც მექნება“ (რეპეტიცია სრული). დაზიანებული. შავი მელანი. 77 ფ.

61. ჩანაწერი როლების განაწილების შესახებ სპექტაკლში „მაკბეტი“.

უთარიღო. ხელნაწერი. ხელს აწერენ: კ. ანდრონიკაშვილი, ა. იმედაშვილი. ტ. აბაშიძე, ვ. ბალანჩივაძე, გ. ფრონისპირელი. შავი მელანი. 1 ფ.

62. ალექსანდრე იმედაშვილის მიერ ანბანის მიხედვით შედგენილი პიესების და როლების სია.

უთარიღო. ავტოგრაფი. დაზიანებული რვეული. 3 ფ.

63. ალექსანდრე იმედაშვილის მიერ შესრულებული როლების და კინოფილმების სია.

უთარიღო. ბლანკი. ხელით შევსებული. შავი მელანი. 1 ფ.

64. ალექსანდრე იმედაშვილის მიერ შედგენილი პიესების და მის მიერ შესრულებული როლების სია. 1900-1941 წწ.

უთარიღო. ავტოგრაფი. რვეული 16 ც. 203 ფ.

## სტატიები

65. ალექსანდრე იმადეშვილის სტატია-წერილი „დასის საყურადღებოდ“. გამოთქვამს აღშფოთებას იმ მსახიობთა მიმართ, რომლებიც არღვევენ დისციპლინას და არ ესწრებიან რეპეტიციებს, მიძღვნილი ვასო აბაშიძის 50 წლის იუბილისადმი.

1922 წ. 22.11 ავტოგრაფი. ალ. იმედაშვილის ხელმოწერით. მელანი. 6 ფ.

66. ალექსანდრე იმადეშვილის სტატია „ქართველ მსახიობის მდგომარეობა“. აღწერს ქართველ მსახიობთა უნუგეშო მდგომარეობას და მკითხველს სთავაზობს ქართული თეატრის აღორძინების მისეულ ხედვას.

1922 წ. 04. 05 ავტოგრაფი. ალ. იმედაშვილის ხელმოწერით. ერთვის მინაწერი: „გაზეთისათვის“. მელანი. 6 ფ.

## მოგონებები

67. ალ. იმედაშვილის მოგონებები. იხსენებს, როგორ მუშაობდა სხვადასხვა როლზე კინოსა და თეატრში, სპექტალზე და სრულად აღწერს მისი მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

უთარიღო. ავტოგრაფი. დაზიანებული. ამოცვენილი ფურცლებით. ფანქარი. რვეული 4 ც. 204 ფ.

68. ალ. იმედაშვილის მოგონებები. იხსენებს როგორ მუშაობდა სხვადასხვა როლზე კინოსა და თეატრში, სპექტალზე და სრულად აღწერს მისი მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

უთარიღო. ავტოგრაფი. თავნაკლული და ბოლონაკლული. ამოცვენილი ფურცლებით. რვეული.

69. ალ. იმედაშვილის მოგონებები. იხსენებს როგორ მუშაობდა სხვადასხვა როლზე კინოსა და თეატრში, სპექტალზე და სრულად აღწერს მისი მოღვაწეობას ქართულ სცენაზე.

უთარიღო. ნაბეჭდი. აკინძული წიგნად. 2 ეგზ. 309 ფ.

## ეპისტოლარული მემკვიდრეობა

70. ალექსანდრე იმედაშვილის კერძო ხასიათის წერილი სანდროს.

1911 წ.15.11. ავტოგრაფი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. შავი მელანი. 1 ფ.

71. ალექსანდრე იმედაშვილის პირადი ხასიათის წერილი გუგულისადმი (სავარაუდოდ, ბუხნიკაშვილი). საყვედურობს მის მიმართ გამოჩენილ გულგრილობაზე და სთხოვს დაუბრუნოს კუთნილი მოგონებები, რადგან თვითონ იზრუნებს დაბეჭდვაზე.

1942 წ. 26. 05 ავტოგრაფი. ფანქარი. 2 ფ.

72. ალექსანდრე იმედაშვილის პირადი ხასიათის წერილი ვანიჩკა გვინჩიძისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 ფ.

## პროგრამები

73. სახელმწიფო თეატრის მიერ წარმოდგენილი უილიამ შექსპირის 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ოტელოს" პროგრამა. ოტელოს როლში – ა. იმედაშვილი. რეჟისორი ჯ. ანდრონიკაშვილი. თარგმნა ი. მაჩაბლის.
[1917 წ.] 11. 06. ქუთაისი. ა. იმედაშვილის ხელმოწერით. დასტამბული. 1 ც.

74. სახელმწიფო თეატრის მიერ წარმოდგენილი გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტას" პროგრამა. მთავარი როლი ურიელ აკოსტა – ა. იმედაშვილი. თარგმანი ი. ბაქრაძის. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
[1919 წ.] 15. 06. ქუთაისი. ა. იმედაშვილის ხელმოწერირით. დასტამბული. 1 ც.

## ბარათები

75. უილიამ შექსპირის 5 მოქმედებიანი სპექტაკლ „ჰამლეტის" მოსაწვევი ბარათი. თარგმნა ივ. მაჩაბლის. რეჟისორი ვ. გუნია.
1910 წ. 30. 01. ქუთაისი. დასტამბული. 2 ც.

76. ალექსანდრე იმედაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1952 წ. ქუთაისი. დასტამბული. 1 ც.

77. ალექსანდრე იმედაშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისადმი მიძღვნილ საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1952 წ. თბილისი. დასტამბული. 4 ც.

78. ალექსანდრე იმედაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1962 წ. თბილისი. დასტამბული. 1 ც.

## ალექსანდრე იმედაშვილისადმი მიძღვნილი მასალა

79. ა. ბურთიკაშვილის სტატია მიძღვნილი ალექსანდრე იმედაშვილისადმი.
უთარიღო. თბილისი. ავტოგრაფი. ა. ბურთიკაშვილის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 6 ფ.

80. ა. ბურთიკაშვილის სტატია „ალექსანდრე იმედაშვილი".
უთარიღო. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

81. ვაჟთა გიმნაზიის VI კლასის მოწაფეების სახელით ს. თ. (?) ლექსი, მიძღვნილი ალექსანდრე იმედაშვილისადმი.
1910 წ. 30. 01. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 ფ.

82. იოსებ გრიშაშვილის ლექსი მიძღვნილი ალექსანდრე იმედაშვილისადმი.
უთარიღო. ავტოგრაფი. ი. გრიშაშვილის ხელმოწერით. ფანქარი. 1 ფ.

83. ა. იმედაშვილისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში თეატრალურ საზოგადოებაში.
1952 წ. 04. 02. ასლი დამოწმებულია დედანთან. ნაბეჭდი. დაზიანებული (4-22 ფურცლები დაკარგულია), 22-ე ფურცელზე ხელით არის დაწერილი. 47 ფ.

84. რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. იმედაშვილის გარდაცვალებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს სტენოგრაფიული ანგარიში.
1952 წ. 22. 09 ნაბეჭდი. წიგნად აკინძული. ყდით. 57 ფ.

## სხვადასხვა

85. კ. ანდრონიკაშვილის წერილი ქართული თეატრის ამხანაგობას. გამოხატავს წუხილს, რადგანაც თავისი ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება „ქართული დრამის“ დღესასწაულს.

1925 წ.14. 01 თბილისი. ავტოგრაფი. ანდრონიკაშვილის ხელმოწერით. შავი მელანი. 2 ფ.

86. ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობის წარმოდგენების ანგარიში. 1904 წ. ამხანაგობის გამგე ალ. იმედაშვილი.

უთარიღო. ავტოგრაფი. ერთვის ი. ივანიძის მინაწერი. რვეული. შავი მელანი. 12 ფ.

87. ქართულ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ოპერის თეატრში გამართული 1924-1925 წწ. სეზონის ანგარიში.

უთარიღო. რვეული ყდით. დაზიანებული. 37 ფ.

88. კონკრეტულ პირთა სია, მათთვის გაცემული თანხების მითითებით.

უთარიღო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ფ.